

გათიშვების დაგეგმვის ინსტრუქცია

მუხლი 1.

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანია ენერგობლოკების/აგრეგატების და ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების გათიშვების დაგეგმვის მაქსიმალურად თანმიმდევრული, ეფექტური და გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა.

მუხლი 2.

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ყოველი წლის 1 სექტემბრამდე საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებული ჰქონდეს გათიშვების გეგმის სავალდებულო ფორმები დასაგეგმი წლის და მოსარგებლეთა ტიპის მიხედვით.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ყოველი წლის 5 სექტემბრამდე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს გადაცემის ლიცენზიატებს და მწარმოებლებს გათიშვების გეგმების წარმოდგენის ან/და განახლების მოთხოვნით.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს გადაცემის ლიცენზიატს და მწარმოებელს „ქსელის წესები“-თ დადგენილ ვადებში გათიშვების გეგმების წარმოდგენის ვალდებულებისგან.

4. გათიშვების გეგმების დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში, ამ გადაცემის ლიცენზიატის ან მწარმოებლის მოთხოვნები გაითვალისწინება სხვა გადაცემის ლიცენზიატის ან მწარმოებლის მიერ დროულად წარმოდგენილი გეგმების დაკმაყოფილების შემდეგ.

მუხლი 3.

1. „ქსელის წესები“-ს მიხედვით მწარმოებლის მიერ გადამცემი სისტემის ოპერატორთან წარმოდგენილი:

ა) გათიშვების შეთანხმებული გეგმა ნიშნავს მწარმოებლის მიერ ნულოვან და პირველ წელს სარემონტო სამუშაოების გამო დაგეგმილი გათიშვების ჩამონათვალს;

ბ) გათიშვების წინასწარი გეგმა ნიშნავს მწარმოებლის მიერ მეორე და მესამე წელს სარემონტო სამუშაოების გამო დაგეგმილი გათიშვების ჩამონათვალს;

გ) გათიშვების ინდიკატური გეგმა ნიშნავს მწარმოებლის მიერ მეოთხე და მეხუთე წელს აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო დაგეგმილი გათიშვების ჩამონათვალს.

2. „ქსელის წესები“-ს მიხედვით გადამცემი ლიცენზიატის მიერ გადამცემი სისტემის ოპერატორთან წარმოდგენილი:

ა) გათიშვების შეთანხმებული გეგმა ნიშნავს გადაცემის ლიცენზიატის მიერ ნულოვან წელს მიმდინარე სამუშაოების გამო დაგეგმილი გათიშვების ჩამონათვალს;

ბ) გათიშვების წინასწარი გეგმა ნიშნავს გადაცემის ლიცენზიატის მიერ პირველ წელს სარემონტო სამუშაოების გამო დაგეგმილი გათიშვების ჩამონათვალს;

გ) გათიშვების ინდიკატური გეგმა ნიშნავს გადაცემის ლიცენზიატის მიერ მეორე და მესამე წელს აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო დაგეგმილი გათიშვების ჩამონათვალს.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორთან გათიშვების გეგმა მწარმოებელმა უნდა წარადგინოს „ქსელის წესები“-თ დადგენილ ვადაში.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორთან გადაცემის ლიცენზიატმა უნდა წარადგინოს:

ა) ყოველი წლის 15 სექტემბრამდე გათიშვების გეგმის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს გათიშვების ინდიკატურ გეგმებს;

ბ) ყოველი წლის 15 ოქტომბრამდე გათიშვების გეგმის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს გათიშვების შეთანხმებულ და წინასწარ გეგმებს.

მუხლი 4.

1. გათიშვების გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნების არსებობისას, მწარმოებელი (გადაცემის ლიცენზიატი) ვალდებულია გადამცემი სისტემის ოპერატორს მიაწოდოს წერილობითი ახსნა-განმარტება, მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გათიშვების საბოლოო გეგმის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მწარმოებელი (გადაცემის ლიცენზიატი) ვალდებულია წერილობითი დაუდასტუროს ან უარყოს მისი ცალკეული დებულებები.

3. გათიშვების გეგმის ცალკეული დებულებების უარყოფის შემთხვევაში, გათიშვების გეგმა შეთანხმებულად ითვლება იმ ნაწილში, რომლის შესრულებაც შესაძლებელია შეუთანხმებელი დებულებების გარეშე.

4. მწარმოებლის (გადაცემის ლიცენზიატის) მიერ წერილობით უარყოფილი გათიშვების გეგმის ცალკეული დებულებების ნაწილში იგულისხმება, რომ ამ პერიოდში გათიშვები არ ხორციელდება. მწარმოებელს (გადაცემის ლიცენზიატს) შეუძლია გაასაჩივროს გადამცემის სისტემის ოპერატორის მიერ წარდგენილი გეგმა ან მისი ნაწილი საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში.

5. თუ მწარმოებელი (გადაცემის ლიცენზიატი) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ვადაში არც დაადასტურებს და არც უარყოფს გათიშვების გეგმა, იგი ითვლება დადასტურებულად გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ შედგენილი რედაქციით.

მუხლი 5.

გათიშვების გეგმების შედგენას, შეთანხმებასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ინსტრუქციით, წესრიგდება „ქსელის წესები“-ის შესაბამისი დებულებებით.

მუხლი 6.

1. 2016 წელს გათიშვების გეგმის სავალდებულო ფორმები, ამ წესების მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში ვებ-გვერდზე განთავსების ნაცვლად, იგზავნება შესაბამის შეტყობინებასთან ერთად.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია 2016 წელს გათიშვების გეგმის სავალდებულო ფორმები ვებ-გვერდზე განათავსოს შესაბამის შეტყობინების გაგზავნიდან უმოკლეს ვადაში.

3. 2016 წელს გათიშვების გეგმების წარმოდგენის ან/და განახლების მოთხოვნა იგზავნება 2016 წლის 30 სექტემბრამდე.